საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №15

ქ. თბილისი

05.03.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ამილახვარი - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თამჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
ნინო ლიპარტია - „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სხდომის მდივანი;
ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;
თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:
ირმა ინაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნინო ლომიძე - დაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ვლადიმერ დოლიძე - აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
ვასილ ღლიღვაშვილი - მეცხოველეობის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;
მანანა ცინცაძე - მეცხოველეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:
მარინა გედევანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო ჩუბინიძე - კონსულტანტი;
ოლან გოცირიძე - ქართული მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამის ხელმძღვანელი;
ვახტანგ მაისაია - საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი:
ვახტანგ ლეჟავა - უნივერსიტეტის რექტორი;
მარინა ქარჩავა - უნივერსიტეტის პრორექტორი;
ალექსანდრე რაქვიაშვილი - ფინანსების პროგრამის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
ბესარიონ ლასარეიშვილი;
ანა ბოკუჩავა;
ნანა ფირცხელანი;
მანანა კევლიშვილი;
გაგა ბუიშვილი;
მარიკა ბოკუჩავა;
მურად გარუჩავა;
ნინო დეკანოიძე;
ხვიჩა ბერიძე;
სოფიო ხუნდაძე;
თეა კასრაძე;
ანა მიხელიძე.

საბჭოს სხდომა 16:17 საათზე დაიწყო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი ორი საკითხის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ადგილზე არყოფნის გამო, საბჭოს სხდომაზე დადგა შუამდგომლობა, პირველ საკითხად გასულიყო სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა. შესაბამისად, **დღის წესრიგი** დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკითხებზე **თვითაცილების** შესახებ განაცხადეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: ქეთევან ქოქრაშვილმა, გიორგი ქვარცხავამ, დენიტა ბიბილეიშვილმა და სალომე თოთიბაძემ.

შესაბამისად, შემდეგი სამი საკითხის განხილვის განმავლობაში, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ამილახვარი.

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრონომია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგრონომიის ბაკალავრი 0101
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

აგრონომიის საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ ყველა კომპონენტი შეფასდა როგორც, შესაბამისი მოთხოვნებთან, შესაბამისად, ყველა სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისი დადგენილ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მანანა კევლიშვილმა წარადგინა. მან აღნიშნა, რომ ჯგუფს პროგრამაზე რეკომენდაციები არ ჰქონდა. იყო გარკვეული ტექნიკური უზუსტობა 1.2 პუნქტთან დაკავშირებით, რადგან ეს ველი არ იყო დოკუმენტში შევსებული, თუმცა ადგილზევე მიიღეს დამაზუსტებელი ინფორმაცია ოქმის სახით.

მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო რამდენიმე რჩევა, რაც ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა:

- სასურველი იყო, სასწავლო კურსის ,,მეხილეობა" პრერეკვიზიტი აგროქიმია შეცვლილიყო სასწავლო კურსით ,,ს/მ (მინდვრის) კულტურის მოვლა-მოყვანა, პროდუქტიულობა და მართვა".
- სასურველი იყო, სასწავლო კურსი ,,ზოგადი ბიოლოგია" კურიკულუმში წარმოდგენილი ყოფილიყო ერთი ან ორი სასწავლო კურსის პრერეკვიზიტად.
- სასწავლო კურსი ,,ნიადაგთმცოდნეობის საფუძვლები" კურიკულუმში გადატანილიყო ძირითად ბლოკში, რადგან ის რამდენიმე სასწავლო კურსის პრერეკვიზიტს წარმოადგენდა.

მანანა კევლიშვილმა პროგრამის დადებით მხარედ დაასახელა ექსტენციის 10 კრედიტის მოცულობა პროგრამაში, რაც თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობდა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ლომიძემ აღნიშნა, რომ 1.2 პუნქტი ტექნიკურად იყო გამორჩენილი, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და დაამატა, რომ ყველა რჩევა იქნებოდა გათვალისწინებული, ნაწილი უკვე გაზიარებული იყო, დანარჩენი კი ეტაპობრივად დამუშავდებოდა.

საბჭოს წევრი, სერგო ჭელიძე დაინტერესდა, პროგრამის რა ანალოგები იყო შესწავლილი საერთაშორისო მასშტაბით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა აგებული იყო აიოვას უნივერსიტეტის პროგრამის მიხედვით, ანალოგიურად მეცხოველეობის პროგრამებისა.
სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, ტექნიკურ უნივერსიტეტს ჰქონდა აიოვას უნივერსიტეტთან ურთიერთობა და დაინტერესდა, რამდენად იყო საკმარისი უცხო ენის 2 სემესტრად შეთავაზება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტუდენტს ჰქონდა შესაძლებლობა, ესწავლა ამ ორი სემესტრის გარდა უფასო კურსების სახით, რასაც სთავაზობდა უნივერსიტეტი.

სერგო ჭელიძემ კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენელს, რა დონეზე გადიოდნენ კურსდამთავრებულები შედეგზე უცხო ენაში. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ ბაკალავრიატის კურსამთავრებულები გადიოდნენ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილ შედეგებზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

16:26 საათზე სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.
სხდომა განახლდა 16:38 საათზე.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი - ხათუნა თოდაძე.

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცხოველეობა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მეცხოველეობის ბაკალავრი 0103
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხოველეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები მეტწილად შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, რადგანაც 2.2, 2.3, 2.5, 2.6, 4.1, 4.2, 4.3, 5.1 და 5.3 კომპონენტები შეფასდა როგორც, მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან; პირველი და მესამე სტანდარტები შეფასდა, როგორც შესაბამისი დადგენილ მოთხოვნებთან, მიუხედავად იმისა, რომ 1.2 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მყოფი სტანდარტებთან.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ მეცხოველეობის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების განხილვა წინა სხდომაზე დაიწყო, მსჯელობა შედგა, უბრალოდ დროის სიმცირის გამო, გარკვეული საკითხები ვერ დაზუსტდა. შესაბამისად, ექსპერტებს მიმართა თხოვნით, არ გაემეორებინათ რეკომენდაციები, უბრალოდ შეეჯამებინათ მათი მოსაზრება ორივე პროგრამასთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ბესარიონ ლასარეიშვილმა განაცხადა, რომ ჯგუფი მხარს უჭერდა ასეთი პროგრამის არსებობას და ქვეყანას ჰქონდა ამის საჭიროება, პროგრამა ფინანსდებოდა სახელმწიფოსგან, მაგრამ სჭირდებოდა განვითარება, რაც მათ აღნიშნული ჰქონდათ რეკომენდაციებში - ეს ეხებოდა სწავლის შედეგების ფორმულირებას, მიზნებისა და შედეგების შესაბამისობას და ა.შ.

გიორგი ამილახვარმა ექსპერტებს ჰკითხა, მათი მოსაზრებით, რა დრო დასჭირდებოდა ამ რეკომენდაციების შესრულებას. ბესარიონ ლასარეიშვილმა უპასუხა, რომ 5 თვის ვადაში გამოსწორებადი იყო აღნიშნული ხარვეზები.

გიორგი ამილახვარმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, არგუმენტირებულ პოზიციაში თუ ჰქონდათ დასაბუთებული თავიანთი შეხედულებები. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ მომზადებული ჰქონდათ წერილი საბჭოს სახელზე, რადგან რეკომენდაციების დიდ ნაწილს არ ეთანხმებოდნენ.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ამ წერილს არ იცნობდნენ.

გიორგი ქვარცხავამ უპასუხა, რომ საბჭოს სხდომის დღეს იყო შეტანილი წერილი და ვერ მოესწრებოდა საბჭოს წევრებისთვის გაგზავნა, მაგრამ მოკლედ წარმოადგინა მისი შინაარსი: უნივერსიტეტის წარმომადგენლების შეფასებით, ექსპერტები ხელოვნურად ცდილობდნენ სიტუაციის დამძიმებას, ზოგი რჩევა რეკომენდაციაში იყო დუბლირებული სხვადასხვა სტანდარტში, ასევე იყო უზუსტობები - მაგალითად ანალიზურ ქიმიაზე, ბიოქიმიაზე - 8 თემა ეთმობოდა იმ საკითხებს, რაზეც ექსპერტებს დანაკლისი ჰქონდათ. მაგრამ ყველაზე მთავარი იყო ჩანაწერი დასკვნაში, რაც ამძიმებდა მდგომარეობას - „რიგ შემთხვევაში პერსონალს უწევს საკუთარი ხარჯის გამოყენება, რაც უმძიმესია და საჭიროა დაზუსტდეს რა ხარჯებს იღებს პერსონალი“ და „ვიზიტის განმავლობაში იგრძნობოდა ხარისხის სამსახურის დაძაბული დამოკიდებულება პროგრამის ხელმძღვანელთან“.

გიორგი ამილახვარმა გიორგი ქვარცხავას მოუწოდა არ გაეგრძელებინა ურთიერთობების განხილვა და უშუალოდ საგნობრივ ნაწილზე ემსჯელა, მითუმეტეს, ეს საკითხები წინა საბჭოზეც იყო განხილული.

გიორგი ქვარცხავამ დაამატა, რომ დაახლოებით იმავე დროში ჰქონდათ სხვა სადოქტორო პროგრამაზე (სატყეო საქმე) ვიზიტი და გამოთქვა ეჭვი, რომ ამ ორი პროგრამის დასკვნების მომზადება ორი სხვადასხვა ჯგუფის მიერ შეთანხმებულად მოხდა, რადგან მეორდებოდა ფრაზები და ერთიდაიგივე შეცდომები იყო დაშვებული. გიორგი ქვარცხავამ ეს ახსნა იმით, რომ ორივე ჯგუფში იმყოფებოდნენ ერთიდაიგივე უნივერსიტეტის წარმომადგენელი ექსპერტები. ეს საკითხები ვრცლად ეწერათ წარმოდგენილ წერილში და ცენტრს მიმართა თხოვნით, შესწავლილიყო ეს ორი დასკვნა.

გიორგი ამილახვარმა გიორგი ქვარცხავას ჰკითხა, ეს საკითხები თუ იყო წარმოდგენილი დასკვნის პროექტში. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ არ დაუფიქსირებიათ პოზიცია წერილში, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ ექსპერტები აგრესიულად იყვნენ განწყობილი წინა სხდომაზე და იმედი ჰქონდათ, რომ შეიცვლებოდა ეს დამოკიდებულება, მაგრამ მათი მოსაზრებით, კიდევ უფრო გამძაფრებულიც იყო უარყოფითი დამოკიდებულება.

გიორგი ამილახვარმა უნივერსიტეტის წარმომადგენელს მოუწოდა პიროვნული დამოკიდებულებებზე ნუ გაამახვილებდა ყურადღებას.

გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ ეს წერილი არ ეგმოდა პროგრამის საკითხის გადაწყვეტას, ცალკე იყო შემოტანილი, რათა ცენტრს გაეანალიზებინა ეს ორი დასკვნა.

გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ ეს უნივერსიტეტის უფლება იყო და ცენტრი თუ ჩათვლიდა საჭიროდ, მოახდენდა შესაბამის რეაგირებას.

გიორგი ამილახვარმა დაამატა, რომ ექსპერტების დასკვნა დადებითი იყო და ასევე მათ აღნიშნეს, რომ რეკომენდაციები გამოსწორებადი იყო მოკლე დროში. ექსპერტმა, ბესარიონ ლასარეიშვილმა, დაამატა, რომ ისინი იყვნენ ლოიალურები და შეეძლოთ უფრო ცუდი შეფასება დაეწერათ, არა მეტწილი - არამედ ნაწილობრივი მაინც, მაგრამ აცნობიერებდნენ პროგრამის მნიშვნელობას, მიუხედავად ამისა, საჭიროებდა გადამუშავებას - სპეციალური ინსტრუმენტები არ არსებობდა, ქიმიის ლაბორატორია არ იყო საკმარისი, მაპროფილებელი საგნებისთვის საჭირო იყო სხვა ბაზა. სწავლის შედეგები იყო გასამართი, მონიშვნები იყო დასმული შეუსაბამო ადგილებში, ამას გასწორება სჭირდებოდა და ეს შესაძლებელი იყო მოკლე დროში. მან დაამატა, რომ საგნებში იყო გადაფარვები, ანატომია და ბიოქიმია არ იყო საკმარისად წარმოდგენილი, გენეტიკა არ იყო გათვალისწინებული პროგრამით. ექსპერტთა მოსაზრებით, მაპროფილებელი საგნების ლექტორები უნდა ყოფილიყვნენ უნივერსიტეტის კადრები, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელი არ უნდა ყოფილიყო მოწვეული, რადგან ეს შეუქმნიდა პრობლემას პროგრამის მდგრადობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წელი.

ასევე, საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ პროგრამაზე 1 წლის განმავლობაში განხორციელდეს მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც, გადამოწმდება პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცხოველეობა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი 01
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხოველეობის სადოქტორო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ მესამე და მეოთხე სტანდარტები სრულ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, ასევე შესაბამისობაში იყო სტანდარტთან პირველი სტანდარტი, მიუხედავად იმისა, რომ 1.2 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. მეორე და მეხუთე სტანდარტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან რადგან 2.1, 2.2, 2.3, 2.5, 2.6, 5.1 და 5.3 კომპონენტები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტთა ჯგუფს მსგავსი შენიშვნები ჰქონდათ სადოქტორო პროგრამასთან მიმართებითაც, რადგან საკითხი უკვე განხილული იყო წინა სხდომაზე და ნაწილობრივ ამ სხდომის წინა პროგრამის ჭრილში, ექსპერტებმა აღნიშნეს მხოლოდ ის შენიშვნები, რაც განსხვავდებოდა საბაკალავრო პროგრამისგან - მათი მოსაზრებით, საჭირო იყო, სტუდენტებს კვლევა დაეწყოთ პირველივე კურსიდან, ასევე მინიმუმ ერთ საერთაშორისო, იმაპქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში დაბეჭდილიყო ერთი პუბლიკაცია და დაზუსტებულიყო, რა დონის ცოდნას იღებდნენ ენაში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ნინო ლომიძემ, აღნიშნა, რომ ანალოგიური პასუხები ჰქონდათ როგორც წინა როგრამაში, მაგრამ დამატებით განაცხადა, რომ ენასთან დაკავშირებით იქმნებოდა სპეციალური კომისია, რასაც ამტკიცებდა რექტორი. გასაჩივრების მექანიზმი იდო დებულებაში.

ექსპერტმა, ანა ბოკუჩავამ აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი სტუდენტისთვის. მას არ უნდა დასჭირვებოდა ბრძანების დალოდება ამ ინფორმაციის მისაღებად.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ითხოვდნენ B2 დონეს, რაც ასახული იყო ვებგვერდზეც და შესაბამისი ლინკი მათ ექსპერტებს არგუმენტირებულ პოზიციაში წარუდგინეს.

ექსპერტმა დაამატა, რომ ყველა ფაკულტეტსა და პროგრამაზე მოქმედებდა შეფასების ანალოგიური სისტემა. მისი მოსაზრებით, ლექტორს უნდა ჰქონოდა თავისუფლება საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე და შეფასების მექანიზმი არ უნდა ყოფილიყო უნიფიცირებული. გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ გარკვეულ შენიშვნებს ეთანხმებოდნენ, თუმცა ექსპერტების ქცევა მიმართული იყო ვითარების დამძიმებისკენ.

გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომა არ იყო პიროვნული დამოკიდებულებების გასარჩევი სივრცე და თუ ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ უფრო მძიმე შეფასება ეკუთვნოდა პროგრამას, უნდა აესახათ შესაბამისად დასკვნაში.

ასევე, საბჭოს მოსაზრებით, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე გადაწყვეტილება მიზანშეწონილია ძალაში შევიდეს 2019 წლის 25 თებერვლიდან, როდესაც პროგრამას ამოეწურა აკრედიტაციის ვადა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 25 თებერვლიდან.

ასევე, საბჭომ დაწესებულებას დაავალა 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენა შესრულებული რეკომენდაციების შესახებ, სადაც უნდა წარმოედგინათ დოკუმენტები, რაც ექსპერტთა რეკომენდაციების მიხედვით არ იყო წარმოდგენილი და ასევე თვითშეფასების ანგარიში, რომელიც სრულყოფილად იქნებოდა შევსებული.

17:04 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.
სხდომა განახლდა 17:41 საათზე.

საბჭოს წევრებმა - გიორგი ამილახვარმა, სერგო ჭელიძემ და ირაკლი ბურდულმა დატოვეს საბჭოს სხდომა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარეობა ქეთევან ქოქრაშვილმა განაგრძო.

4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული მევენახეობა-მეღვინეობა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგრარული მეცნიერებების ბაკალავრი, 01
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრი საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ ყველა სტანდარტი შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, რადგან ყოველი კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისი მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მანანა კევლიშვილმა წარადგინა. მან აღნიშნა, რომ ჯგუფს რეკომენდაციები არ ჰქონდა. პროგრამა იმყოფებოდა რეაკრედიტაციის რეჟიმში, მას წინა აკრედიტაციის დროს მიეცა 1 წლიანი პირობითი აკრედიტაცია და ამ ეტაპზე ყველა რეკომენდაცია ჰქონდათ გათვალისწინებული, როგორც საბჭოს, ასევე, ექსპერტების მიერ გაჟერებული. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაუმჯობესებული იყო, დამატებული ჰქონდათ ახალი აბორატორიები - ქიმიის, მიკრობიოლოგიის, გენეტიკის, ნიადაგმცოდნეობის, ჰქონდათ მარანი, სადემონსტრაციო ნაკვეთი, სადაც წარმოდგენილი იყო ყურძნის სხვადასხვა ჯიში. სტუდენტს ჰქონდა საშუალება, თვითონ შეესრულებინა სრული პროცესი. ასევე, პერსონალი დაკომპლექტებული იყო მეღვინეობა-მევენახეობის გამორჩეული სპეციალისტებით.

მანანა კევლიშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რჩევები:

- სასურველი იყო, სასწავლო კურსებში ანალიზური ქიმია, აგროქიმია და ნიადაგთმცოდნეობა შეტანილიყო ლაბორატორიული სამუშაოები და შესაბამისად მომხდარიყო მისი შეფასება.

➢ მოძველებული ლიტერატურა შეცვლილიყო ახალი ლიტერატურით, ან შექმნილიყო რიდერები, ან თარგმნილიყო უცხოენოვანი ლიტერატურა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ წინა საბჭოზე ნამდვილად კარგი რეკომენდაციები მიიღეს და ამით პროგრამა გაუმჯობესდა. პროგრამას ჰყავდა 18 პირველკურსელი სტუდენტი. უნივერსიტეტი მუშაობდა ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერებაზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ოლან გოცირიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ რჩევა რიდერის შექმნასთან დაკავშირებით უკვე გათვალისწინებული იყო და ატვირთული ბიბლიოთეკაში, გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც წარმოადგენდა კომპლექსს, რომელიც მოიცავდა ენოქიმიის, ვაზის ბიოლოგიისა და მევენახეობის ლაბორატორიას, ვაზისა და ღვინის მიკრობიოლოგიის ლაბორატორიებსა და საექსპერიმენტო სადეგუსტაციო კაბინეტს. ჰქონდათ მარანი გამორჩეული არქიტექტურული შენობის სახით, რომელიც მოიცავდა 3 სხვადასხვა ტიპის მარანს ქვევრებით, საწნახელით, ენოთეკით. ასევე, ჰქონდათ ნაკვეთი 100 ზე მეტი ჯიშით. სტუდენტებს ერთ სივრცეში ჰქონდათ საშუალება, ვაზის შესწავლიდან ღვინის ჩამოსხმამდე გაევლოთ სრული პროცესი და საკუთარი ხელით ემუშავათ. გარდა ამისა, ბაზად მოიაზრებოდა ოკამისა და ახალშენის ღვინის ქარხანა და ვენახები. მეღვინეობის მიმართულებით პრაქტიკა განხორციელდებოდა სხვადასხვა კოპმანიაში, მაგ. ჯიღაურის ტერიტორიაზე. მან დაამატა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა ურთიერთობები ევროპულ უნივერსიტეტებთან, მაგ. ესპანეთის სამი უნივერსიტეტთან, რაც იძლეოდა გაცვლითი პროგრამებისა და ორმაგი დიპლომების შემუშავების საშუალებას. ინტერესი არ იყო ცალმხრივი, ევროპული მხარეც იყო დაინტერესებული ქვევრის ღვინის მიმართ. პროგრამაში ცალკე არსებობდა კურსი ქვევრის ღვინის ტექნოლოგიის შესახებ. პრაქტიკა 24 კრედიტი იყო და ძლიერი მხარე იყო 12 მეღვინეობა 12 მევენახეობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, დავით მაღრაძემ, განაცხადა, რომ მათ მიზანს წარმოადგენდა ინტერნაციონალიზაციის განვითარება. ესპანეთის უნივერსიტეტიდან მიიღეს მიწვევა, სადაც უნივერსიტეტი გამოდიოდა როგორც პარტნიორი (HORIZON 2020), ასევე იყვნენ ჩართული კადისის უნივერსიტეტის ლოკალურ პროექტში. გარდა ამისა, მიღებული ჰქონდათ რუსთაველის ფონდის გრანტი. ერთი მათგანის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომმა მიიღო დაფინანსება, ასევე, მიღებული ჰქონდათ საკონფერენციო გრანტი ჰქონდა და მუშაობდნენ ახალ პროექტზე, სადაც პროფესორები კვლევით ცენტრთან ერთად იყვნენ მონაწილეები, როგორც ძირითადი შემსრულებლები. გარდა ამისა, უნივერსიტეტს ჰქონდა შიდა საგრანტო დაფინანსებაც და უკვე 3 პროექტი ჰქონდა მიღებული ფაკულტეტს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ნინო ჩუბინიძემ, დაამატა, რომ 14 განაცხადიდან 2 იყო მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით, წინა წელს გახდნენ ასოცირებული წევრები ღვინის ტურიზმის ორმაგი ხარისხის განვითარებაზე და ავითარებდნენ პროგრამებს იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის უნივერსიტეტებთან ერთად, შედეგებს ელოდებოდნენ მაისის ბოლოს. ერთობლივი პროგრამის ამოქმედებას 1 წლის განმავლობაში გეგმავდნენ.

დენიტა ბიბილეიშვილი დაინტერესდა, პროგრამა თუ ითვალისწინებდა კოლოიდურ საკითხებს - როგორ უნდა განესაზღვრა სტუდენტს სიბლანტე, ნაწილაკთა ზომა, სედიმენტაცია, ვისკოზიმეტრია. ეს საკითხები არცერთი ქიმიის სილაბუსში არ იდო,

მეღვინეს ღვინის შეფასების დროს ეს დასჭირდებოდა. მან რჩევა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაეთვალისწინებინათ ეს საკითხები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ დაამატა, რომ დიდი შრომა იყო ჩადებული და ეტყობოდა პროგრამას განვითარება, მაგრამ კარგი იქნებოდა, დაყოფილიყო რა სამუშაოებს ასრულებდა სტუდენტი ჯგუფური მუშაობის დროს.

ლევან გორდეზიანმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს მუშაობისთვის, რადგან კარგად იკითხებოდა დასკვნაში შედარებითი ანალიზი წინა პროგრამასთან შედარებით.
მარინა გედევანიშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, ასევე წინა საბჭოს და განაცხადა, რომ მათი რეკომენდაციები პროგრამაზე დადებითად აისახა.

ასევე, საბჭოს მოსაზრებით, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე გადაწყვეტილება მიზანშეწონილია ძალაში შევიდეს 2019 წლის 26 იანვრიდან, როდესაც პროგრამას ამოეწურა აკრედიტაციის ვადა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 26 იანვრიდან.

5. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშრისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი, 0705
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ მესამე სტანდარტი სრულ შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან, მიუხედავად იმისა, რომ 3.2 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, რადგან 1.1, 1.2, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 4.2, 4.4, 5.1 და 5.2 კომპონენტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი დადგენილ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ხვიჩა ბერიძემ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ პროგრამა გამოირჩეოდა დარგში მძლავრი საერთაშორისო უსაფრთხოების კომპონენტით, რაც კოპენჰაგენის სკოლის პრაქტიკის დანერგვას ემსახურებოდა უნივერსიტეტში, რაც სხვადასხვა ასპექტების - სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკის, გარემოსდაცვითი და საზოგადოებრივი კვლევასა და სწავლებას გულისხმობდა.

მან დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- შემდგომში მეტად გაკონტროლებულიყო პრაქტიკის ანგარიშების შევსება პრაქტიკის საგნის ხელმძღვანელის მხრიდან. წარმოდგენილი ყოფილიყო ყველა იმ სტუდენტის პრაქტიკის ანგარიში, ვინც კი პრაქტიკას გაივლიდა უნივერსიტეტში სწავლის დროს.

- მიზანშეწონილი იყო პროგრამის მიზნების მიღწევის მექანიზმების უფრო ნათლად განმარტება და მათი მიღწევადობის შესაძლებლობის შესაბამისი დოკუმენტაციით გამყარება.
- ინგლისური ენის B2 დონის სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში მიღების წინაპირობად საჭირო იყო მოთხოვნილი ყოფილიყო აღნიშნული სერტიფიკატის საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობა (მაგალითად TOEFEL, IELTS, შესაბამისი ქულებით).
- გადახალისებულიყო „საქამიანი კომუნიკაციების" და „პრაქტიკის" კურსების სილაბუსები. ასევე შესაბამისობაში მოსულიყო თითოეული სასწავლო კურსის მიზან-შედეგობრივი კავშირი და აღნიშნული შესაბამისად ასახულიყო შედეგების შეფასების რუკაში.
- შემდგომში მეტად გაკონტროლებულიყო პრაქტიკის ანგარიშების შევსება პრაქტიკის საგნის ხელმძღვანელის მხრიდან. წარმოდგენილი ყოფილიყო ყველა იმ სტუდენტის პრაქტიკის ანგარიში, ვინც კი პრაქტიკას გაივლიდა უნივერსიტეტში სწავლის დროს.
- სასურველი იყო უნივერსიტეტში არსებულიყო ბაზა, რომელიც ასახავდა კვლევითი პროექტების ანგარიშებს და განსაკუთრებით, თუ რა სამუშაო ჰქონდათ გაწეული სტუდენტებს აღნიშნული კვლევით პროექტებში.
- რეკომენდირებული იყო სამაგისტრო ნაშრომების ერთიანი სტრუქტურის შემუშავება და გაუმჯობესებულიყო მეთოდოლოგიური ნაწილისა და თეორიული ჩარჩოს დახვეწის ეფექტური მექანიზმები.
- კომისიისთვის აღარ წარედგინათ დოკუმენტაცია უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ ყველა სატრენინგო ღონისძიებასთან დაკავშირებით, დოკუმენტები უნდა შემოფარგლულიყო ინფორმაციით მხოლოდ იმ ღონისიძიებებზე, რომლებიც მიმართული იყო აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებაზე.
- სასურველი იყო, უნივერსიტეტს უზრუნველყო მეტი ტრენინგი აკადემიური პერსონალისათვის შემდეგ თემებზე:
- ▪ თანამედროვე სწავლების მეთოდები და მეთოდიკა;
- ▪ სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაცის ხელმძღვანელობა;
- ▪ სტატიების მომზადება ე.წ. "peer review" ჟურნალებისთვის.
- რეკომენდირებული იყო, პროგრამის ბიუჯეტში სრულად გაწერილიყო პროგრამისთვის გათვალისწინებული ხარჯები, ან პროგრამის ბიუჯეტთან ერთად დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი ყოფილიყო უნივერსიტეტის ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა პროგრამის განვითარების ხელშეწყობას.
- დოკუმენტაციაში არ ყოფილიყო დაშვებული ტექნიკური ხარვეზები, მაგალითად ჩანაწერი: "აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელისშემწყობი მატერიალური და ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და უნივერსიტეტის ბიუჯეტში, ასევე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში."
- აღმოფხვრილიყო შეცდომები და ხარვეზები თვითშეფასების ანგარიშში, სასწავლო კურსების სილაბუსებში და სხვა თანდართულ დოკუმენტებში, მათ შორის, პროგრამის ბიუჯეტში და სწავლის შედეგების რუკაში. წარმოდგენილ დოკუმენტაციას დამატებოდა კურსდამთავრებულთა კვლევისა და დამსაქმებელთა კვლევის ანგარიშები.
- სავალდებულო კურსებს დამატებოდა "საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის" კურსი, რაც დაფიქსირდა გარე შეფასების მექანიზმით.

ექსპერტმა დაამატა, რომ ღონისძიებები პერსონალის განვითარებისთვის ტარდებოდა, ასევე, ბიუჯეტის კუთხით მზაობა ნამდვილად დასტურდებოდა ინტერვიუებით, უბრალოდ შესაბამისად არ იყო ასახული დოკუმენტურად.

ექსპერტმა დადებითად შეაფასა უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა (პოლონეთი), უნივერსიტეტი იწვევდა უცხოელ საჯარო სპიკერებს, თანამშრომლობდნენ ნატოს ცენტრთან. მან ხაზი აისვა, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით პოზიტიური ნაბიჯები იყო გადადგმული პროგრამაში და კარგადა იყო წარმოდგენილი ეს კომპონენტი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნა ჩაბარდათ იმ დღეს, თუმცა რეკომენდაციები, რაც დასკვნაში ეწერათ ექსპერტებს, სხდომაზე განსხვავებულად გააჟღერეს. დასკვნის მიხედვით, არსებობდა ნაკლოვანება დოკუმენტაციაში, თუმცა მან პირადად პირველივე დღეს სრულად წარადგინა სააკრედიტაციო პაკეტი და ექსპერტები მას გაეცნენ. შესაბამისად, პირველი რეკომენდაცია, რაც ეხებოდა სერტიფიკატებსა და ქულობრივ განმარტებას, როგორ ისაზღვრებოდა B2 დონე, რას გულისხმობდა შიდა გამოცდა - დეტალურად იყო აღწერილი დოკუმენტში.

მან დაამატა, რომ სილაბუსებში განაცხადის წარდგენიდან ვიზიტამდე იყო ცვლილებბი შესული, რაც გულისხმობდა სილაბუსებში უცხოენოვანი ლიტერატურის დამატებას. რადგან პროგრამის ხელმძღვანელს იმ პერიოდში ჩამოტანილი ჰქონდა ორიგინალი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები.

გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ ექსპერტები ვერ იხელმძღვანელებდნენ სხვა დოკუმენტებით, რაც წარდგენილი იყო იმას უნდა დაყრდნობოდნენ. მარინა გედევანიშვილმა განმარტა, რომ ეს დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყო დებულებით გათვალისწინებული ვადაში, როდესაც უნივერსიტეტს შეეძლო ბრძანების გამოცემიდან 5 დღის განმავლობაში წარედგინა შეცვლილი დოკუმენტაცია.

მეორე რეკომენდაცია - პრაქტიკის სილაბუსებთან დაკავშირებით მისაღები და გაზიარებული იყო, რადგან ექსპერტი წარმოადგენდა მოლაპარაკებებისა და მედიაციის სპეციალისტს და მისი რჩევა მაშინვე მიიღეს, არგუმენტირებულ პოზიციაში უკვე წარადგინეს შეცვლილი სილაბუსი.

პრაქტიკის სილბაუსთან დაკავშირებით, მარინა გედევანიშვილმა განმარტა, რომ როგორც სილაბუსში იყო გაწერილი, თითოეულ პრაქტიკანტს ენიშნებოდა მენტორი, შეფასების სისტემაში გაწერილი იყო მისი შეფასების კრიტერიუმები, როგორ ფასდებოდა ხელმძღვანელის მიერ და მენტორის მიერ. ეს სილაბუსიც წარმოდგენილი იყო. რაც შეეხებოდა საკონტაქტო საათებს, მისი მოსაზრებით, თვითონ პრაქტიკის ობიექტზე უნდა განსაზღვრულიყო 8 საათიდან რამდენი დათმობოდა თეორიულს და პრაქტიკულ ნაწილს. სილაბუსით გათვალისწინებული იყო პრაქტიკის დაცვა, სტუდენტს უნდა წარმოედგინა ანგარიში, შემუშავებული იყო დღიურის ფორმა, რასაც ავსებდა.

კვლევითი პროექტების ბაზის შექმნასთან დაკავშირებით, მან დაამატა, რომ თუ ეს საკითხი გაჩნდა, ექსპერტს ვიზიტზევე უნდა დაესვა, რადგან მათ ჰქონდათ ეს დოკუმენტი და უპრობლემოდ მიაწვდიდნენ, გარდა ამისა, ვებგვერდზე განთავსებული იყო კვლევითი საქმიანობის შესახებ პორტალი, სადაც ვალდებულების მიხედვით, პერსონალი 3-6 თვეში ერთხელ წარადგენდა ანგარიშს მის კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით.

სამაგისტრო ნაშრომების სტრუქტურასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ როცა მოითხოვეს ნაშრომები, შერჩეული იყო დაბალ საშუალო და მაღალ ქულაზე დაცული ნაშრომები, რათა სრული წარმოდგენა შექმნოდათ ექსპერტებს. ნაშრომის სტრუქტურას ვერცერთი მაგისტრანტი ვერ შეცვლიდა, რადგან

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში გაწერილი იყო სტრუქტურა, რა პუნქტებს უნდა მოიცავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ხელმძღვანელი არ მიიღებდა და არ ჩაიბარებდა შესაფასებლად.

მომდევნო რეკომენდაციაზე მან აღნიშნა, რომ მარტო ერთი პროგრამის კუთხით კიარა ზოგადად უნივერსიტეტი როგორ ზრუნავდა პერსონალზე ამის დასადასტურებლად იყო წარდგენილი მთლიანად დაწესებულების და არა კონკრეტული პროგრამის პერსონალის განვითარების ღონისძიებები.

ტრენინგებთან დაკავშირებით, დაამატა, რომ ავტორიზაციაზე მზადების პერიოდში აიყვანეს კონსულტანტი, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა პროექტების მომზადების კუთხით, მუდმივად ხდებოდა სწავლებაც, ტრენინგებიც არამარტო პერსონალისთვის, არამედ სტუდენტებისთვისაც. 16 პროექტი წარადგინეს რუსთაველის ფონდში, საიდანაც 6 დაფინანსდა, 2 კი ელოდებოდა დაფინანსებას, სხვა ყველა კი მოხვდა საუკეთესო პროექტებში. ტარდებოდა ტრენინგები ხელმძღვანელობის შესახებაც და ეს ასახული იყო ვებგვერდზეც. მისი თქმით ამაზე საუბარი არ ყოფილა ვიზიტის პერიოდში, კითხვა რომ დასმულიყო, მიაწოდებდნენ ამ ინფორმაციას.

რაც შეეხებოდა ბიუჯეტში ხარჯების გაწერას, მტკიცებულებების ნაწილში იყო დეტალურად აღწერილი, თუ როგორ ზრუნავდა უნივერსიტეტი ფინანსური კუთხით და მტკიცებულებებში მითითებული იყო არამხოლოდ პროგრამის, არამედ ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ბიუჯეტი. რადგან მთლიანად უნივერსიტეტის ბიუჯეტში კიდევ სხვანაირად იყო გაწერილი პერსონალის დაფინანსება, პროგრამისა და ფაკულტეტის გარდა. თუმცა არც ეს დოკუმენტი მოუთხოვიათ ექსპერტებს, რის გამოც დაიწერა აღნიშნული რეკომენდაცია.

დასკვნაში იყო ჩანაწერი, რომ პროგრამა დამტკიცებული იყო მედიცინის ფაკულტეტის სხდომაზე, და რა თქმა უნდა ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, ასეთივე ხარვეზები ექსპერტებსაც ჰქონდათ დაშვებული დასკვნაში.

რაც შეეხებოდა შეფასების სისტემის ერთგვაროვნებას, არ ეთანხმებოდნენ ექსპერტებს, რადგან ეს ეხებოდა 3 საგანს, რომლებიც ერთ მოდულს წარმოადგენდნენ (კიბერუსაფრთხოება, ენერგოუსაფრთხოება და ეკონომიკური უსაფრთხოება), და მათ თუ ჰქონდათ მსგავსი შეფასების სისტემა, ეს პრობლემას არ ქმნიდა, სხვა საგნები არ იმეორებდნენ იგივე შეფასების მექანიზმს და ნამდვილად გამოდიოდნენ კურსის სპეციფიკიდან.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ დაეთანხმნენ რეკომენდაციას საერთაშორისო მიმართულებით კურსის დამატებასთან დაკავშირებით, რიდერები პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან ყველგან წარმოდგენილი იყო სახელმძღვანელო და ასევე დამსაქმებლების ჩართულობა ისედაც ხდებოდა და ასევე გააგრძელებდნენ და გაითვალისწინებდნენ ამ რეკომენდაციას.

მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პროგრამის გამორჩეულობის აღნიშვნისთვის. მარინა გედევანიშვილმა დაამატა, რომ პროგრამა როდესაც დაიწყო, სურდათ კვალიფიკაციის მინიჭება უსაფრთხოებაში, მაგრამ საკვალიფიკაციო ჩარჩო არ იძლეოდა ამის საშუალებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ვახტანგ მაისაიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი რეკომენდაციები მიიღეს კურსების დამატაების კუხით, კვლევის ნაწილი კიდევ გააძლიერეს, პროგრამა ამოქმედდა 2014 წელს და პირველად შემოიტანეს უსაფრთხოების კომპონენტი ქართულ აკადემიურ სივრცეში. მან აღნიშნა, რომ გამოიყენეს მარშალის სახელობის კოლეჯის მოდელი, რომელიც გავლენიანი აკადემიურ ცენტრს წარმოადგენდა და თანაბრად ჩადეს საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების ნაწილები.

მან დაამატა, რომ პროგრამის მოქმედების 4 წლის განმავლობაში, კურდამთავრებულების მეშეობით შექმნილი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია, რომელი მუშაობდა წარმატებით ანალიტიკური მიმართულებით. ასევე, შეიქმნა გადაცემა ახალგაზრდა ექსპერტთა საათი, რომელი გადიოდა ქართულ არხზე. სტუდენტები მონაწილეობდნენ საგრანტო პროგრამებში. მისი თქმით, საქართველოს პრეზენტთან იქმნებოდა ახალგაზრდა მრჩეველთა საბჭო, სადაც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაგისტრანტები იქნებოდნენ ჩართულები. ასევე, სტუდენტები მონაწილეობდნენ საერთაშორისო პროექტებშიც რუსთაველის ფონდში. ვახტანგ მაისაიამ განაცხადა, რომ თვითონ პირადად იყო რამდენიმე გავლენიანი ჟურნალის სამეცნიერო კვლევითი საბჭოს წევრი და სტუდენტების სტატიებიც მონაწილეობდნენ ფიერ რევიუს კუთხით. უნი ასევე გამოსცემდა მონოგრაფიებს, იბეჭდებოდა სხვადასხვა გამოცემებში.

მიწვეული იყვნენ საერთაშორისო კონფერენციაზე, ვარშავაში, რაც უსაფრთხოების თემატიკაზე იყო, ამაშიც მიიღებდნენ მონაწილეობას მაგისტრები და პერსონალი. საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ წინა პროგრამაშიც არ იყო სწორად მითითებული სტუდენტების რაოდენობა, სხვანაირად უნდა წარმოჩენილიყო მიღების პროგრესია, დათვლილიყო პირველი მიღებიდან გამომდინარე და ა.შ.

მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრესიის შევსებაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა და უნივერსიტეტებიცა და ექსპერტებიც ცენტრისგან საჭიროებდნენ დამატებითი კონსულტაციების მიღებას.

ნინო ლიპარტიამ აღნიშნა, რომ გაეცნო სამართლის სილაბუსს და მისი მოსაზრებით, კურსის სათაური ვერ პასუხობდა შინაარსს, ვინაიდან მასში გაშლილი იყო ადამიანის ძირითადი უფლებები და არა მექანიზმები. მართალია, კარგად იყო გაშლილი ცალკეული უფლებები, მაგრამ ასევე საჭირო იყო გამრავალფეროვნება, მაგალითად როდესაც ისწავლებოდა გამოხატვის თავისუფლება, კარგი იქნებოდა განხილულიყო სტრასბურგის გადაწყვეტილებები და სასამართლო პრაქტიკა, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ნინო ლიპარტიას იგივე მოსაზრება ჰქონდა საჯარო სამართლის აქტუალური საკითხების სილაბუსის მიმართ - სათაურიდან გამომდინარე, აქტუალური საკითხები უნდა ესწავლათ იმ სტუდენტებს, ვინც უკვე იცოდა ძირითადი საკითხები, თუმცა სილაბუსში ასე არ იყო წარმოდგენილი. ეს იყო საჯარო სამართლის საკითხები, შესავალი კურსი. გარდა ამისა, სახელმძღვანელოდ მითითებული იყო მხოლოდ ინგლისურენოვანი მასალა.
უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა საბჭოს წევრს მადლობა გადაუხადეს რჩევისთვის.

საბჭოს წევრი, ნატო გენგიური დაინტერესდა პრაქტიკის ობიექტით. ვახტანგ მაისაიამ უპასუხა, რომ სტუდენტები პრაქტიკას სხვადასხვა ორგანიზაციაში გადიოდნენ. თუ დასაქმებული იყო სტუდენტი შესაბამისი მიმართულებით, მას ეს ეთვლებოდა პრაქტიკაში შესაბამისი დადგენილი პროცედურების დაცვის. სხვა შემთხვევაში, პრაქტიკის ობიექტად წარმოდგენილი იყვნენ ჟურნალი არსენალი, უსაფრთხოების ცენტრი, ადგილობრივი -

ირანის აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი, პოლიტიკის კვლევების ინსტიტუტი, გეოლაბორატორია, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტები. ასევე, ჰქონდათ გაფორმებული ახალი მემორანდუმი;

ასევე, საბჭოს მოსაზრებით, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე გადაწყვეტილება მიზანშეწონილია ძალაში შევიდეს 2019 წლის 10 თებერვლიდან, როდესაც პროგრამას ამოეწურა აკრედიტაციის ვადა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 10 თებერვლიდან.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წელი.

ასევე, საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ პროგრამაზე 1 წლის განმავლობაში განხორციელდეს მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც, გადამოწმდება პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.

19:00 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.
სხდომა განახლდა 19:13 საათზე.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა დატოვა საბჭოს სხდომა.

6. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მაგისტრი ფინანსებში, 0204
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი და მეოთხე სტანდარტები სრულ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. ასევე, სრულ შესაბამისობაში იყო მესამე და მეხუთე სტანდარტები, თუმცა მათი 3.1 და 5.1 კომპონენტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. რაც შეეხება, მეორე სტანდარტს, შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, რადგან 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სოფიო ხუნდაძემ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ პროგრამა ახალი იყო და დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. მან განმარტა, რომ მესამე სტანდარტის შეფასება ტექნიკურად იყო არასწორად შევსებული ექსპერტთა მხრიდან, სტანდარტს შიგნით კომპონენტები კი სწორად იყო შეფასებული.

საბჭოს წევრი, გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა რას გულისხმობდნენ ექსპერტები ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებაში, როდესაც პროგრამა ახალი იყო.
სოფიო ხუნდაძემ უპასუხა, რომ მათ ჰქონდათ შეხვედრები სხვა პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, საიდანაც ვერ გამოიკვეთა სურვილი უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტების წახალისებისათვის ამ მიმართულებით.

სოფიო ხუნდაძემ საბჭოს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- რადგანაც შემაჯამებელი პრაქტიკუმი მოიაზრებდა 3 მოდულში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებასა და გაღრმავებას, რეკომენდირებული იყო სასწავლო კომპონენტს „შემაჯამებელ პრაქტიკუმი" სილაბუსით განსაზღვრულიყო დაშვების გონივრული წინაპირობა;
- რადგანაც დაშვების წინაპირობის იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ სტუდენტი დაშვებული ყოფილიყო კომპონენტზე იმ დროს, როცა იგი ფლობდა ამ კომპონენტის დაძლევისთვის საჭირო ცოდნასა და უნარს, და რადგანაც სადიპლომო პროექტის შესრულება-დაცვა მოითხოვდა დარგთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცოდნისა და უნარების ფლობას, რეკომენდირებული იყო, სადიპლომო პროექტის სილაბუსში განსაზღვრულიყო არა მხოლოდ დაცვაზე, არამედ თავად სადიპლომო პროექტზე დაშვების პირობები;
- ფინანსების პროგრამის სწავლის შედეგების (კვლევის სხვადასხვა მეთოდების ცოდნა, რაც პროგრამის სწავლის შედეგების ჩამონათვალში იყო) უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებული იყო პროგრამას დამატებოდაა სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული კვლევის სხვადასხვა მეთოდების სწავლებას;
- რეკომენდირებული იყო, პროგრამას დამატებოდა სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტებს სადიპლომო პროექტის ტექნიკურად გაფორმებისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით;
- რეკომენდირებული იყო 2.3 ქვესტანდარტის, სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვისა და ანალიზის ნაწილში დასახელებული სილაბუსების სწავლის შედეგების სამაგისტრო საფეხურის შესაბამისად ფორმულირება;
- რეკომენდირებული იყო, პროგრამას არჩევით კომპონენტად დამატებოდა საწარმოო პრაქტიკა, რათა აღნიშნულ შემთხვევებში პროგრამას უზრუნველეყო სტუდენტები, რომელთაც არ ჰქონდათ პროფესიით მუშაობის გამოცდილება, საჭირო პრაქტიკული უნარებით;
- რეკომენდირებული იყო, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, მომხდარიყო საერთაშორისო მობილობებისა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის წახალისება;
- რეკომენდირებული იყო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული საქმიანობის მეტად ფორმალიზება, რაც მაგალითად გულისხმობდა საქმიანობის ამსახველი და დამადასტურებელი ოფიციალური ანგარიშების მომზადებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გადასცა.

ვახტანგ ლეჟავამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ პროგრამა ახალი იყო, თუმცა თავისუფალ უნივერსიტეტს ჰქონდა მსგავსი პროგრამების განხორციელების გამოცდილება. მოქმედებდა ბიზნესის ადმინისტრირებისა და ოპერაციების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამები. ამ წარმატების კონტექსტში აღმოჩნდა, რომ იყო მოთხოვნა უფრო სპეციალიზებული სპეციალობის ფინანსების სამაგისტრო პროგრამაზე. მათი მოლოდინი იყო, რომ პროგრამაზე ჩაირიცხებოდნენ დასაქმებული სტუდენტები, რადგან პროგრამის საფასური საკმაოდ მაღალი იყო და მოითხოვდა, რომ მსურველს ზუსტად ჰქონოდა გაცნობიერებული პროგრამაზე სწავლის სურვილი.
საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, მან განმარტა, რომ მსგავს პროგრამებზე გამოცდილების მიხედვით, მოდიოდნენ ისეთი სტუდენტები ძირითადად მუშაობდნენ, შესაბამისად პრაქტიკის შეთავაზება ცალკე არარელევანტური იქნებოდა. ასევე, მათ არ სურდათ კრედიტების იოლად აღების საშუალება გაეჩინათ. რთული არ იქნებოდა დამატება არჩევთად, მაგრამ არ იქნებოდა მიზანშეწონილი

რაც შეეხებოდა ინტერნაციონალიზაციას, პროგრამა ითვალისწინებდა ფინანსების - საერთაშორისო სტანდარტებს ვასწავლით, პერსონალს აქვს გამოცდილება საერთაშორისო ასპარეზზე, ამ თვალსაზრისით პროგრამა ინტერნაციონალიზებული იყო. გაცვლითი პროგრამები არ იყო საჭირო, რადგან კონტინგენტი რასაც ელოდნენ უკვე ნამყოფი იყო საზღვარგარეთ ან დასაქმებული იყო. რადგან საერთაშორისო ფინანსების სწავლა სურდათ საქართველოში, სავარაუდოდ არ ექნებოდათ მოლოდინი სტუდენტებს, თუმცა რეკომენდაციის შინაარსი ესმოდათ.

ხარისხის მექანიზმებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, აღნიშნა, რომ ამდაგვარი შენიშვნა სხვა აკრედიტაციების, ავტორიზაციის დროს არ აღმოჩენილა. იმდენად ხდებოდა ფორმალიზება, რამდენადაც კანონმდებობა მოითხოვდა და საქმეს სჭირდებოდა. ნათელი იყო, რომ შედეგს აღწევდნენ, ამიტომ ამ პროგრამის ფარლგებში ეჭვი არ უნდა გაჩენილიყო, რომ იგივე წარმატებით არ იფუნქციონირებდა უნივერსიტეტში დანერგილი მიდგომა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ალექსანდრე რაქვიაშვილმა, ყურადღება გაამახვილა რამდენიმე რეკომენდაციაზე. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკუმს ისედაც ჰქონდა პრერეკვიზიტი, შესაბამისად ამის ჩაწერა გაუგებრობას გამოიწვევდა.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, მარინა ქარჩავამ დაამატა, რომ პრერეკვიზიტის შინაარსი იყო საგანი და არა პირობა, მითუმეტეს სტუდენტი ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირდებოდა და ეს პრობლემა არ იდგა.

სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ რადგან საჭირო იყო, უნდა ჩაწერილიყო კიდეც დოკუმენტურად.

ვახტანგ ლეჟავამ უპასუხა, რომ ამის გაკეთება მარტივი იქნებოდა, ყველა საგანი რომ ყოფილიყო წინაპირობად, მაგრამ შესაძლოა ზოგ საგანში ყოფილიყო ვარიაბელური. მან დაამატა, რომ თეორიულად გასაგები იყო რეკომენდაციის აზრი, მაგრამ მსგავსი საგანი სხვა პროგრამებზეც ისწავლებოდა და პრობლემა არ ყოფილა, საჭიროება არ დამდგარა ემპირიულად.

სოფიო ხუნდაძემ განაცხადა, რომ მიზანი იყო, სტუდენტს არ დაეკარგა დრო და არ დაეშვათ მანამ, სანამ არ იქნებოდა მზად კომპონენტის ასათვისებლად.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ტექნიკურად ვერ დარეგისტრირდებოდა სტუდენტი შიდა საინფორმაციო სისტემაში, თუ არ ექნებოდა გავლილი სხვა საგნები. სოფიო ხუნდაძის თქმით, გამოდიოდა, რომ წინაპირობა ჰქონდა, უბრალოდ არ იყო ასახული. სერგო ჭელიძემ განაცხადა, რომ პრობლემა მოიხდნებოდა კრედიტების რაოდენობის მითითებით.

კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ბევრი საგანი ეხებოდა ამ საკითხებს, მეთოდებს, ტარდებოდა სხვადასხვა სახის კვლევები, რითაც იფარებოდა კვლევის საჭიროება, დამატებითი საგნის საჭიროება არ იდგა, მითუმეტეს რომელიმეს გამოკლების ხარჯზე. სტუდენტები გადიოდნენ შედეგზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ მონათესავე პროგრამებში ჰქონდათ გამოცდილება აკადემიური წერის ცალკე სწავლებისა, მაგრამ შემდეგ ინტეგრირება მოხდა დიპლომთან, რათა ფორმალური საგანი არ გამხდარიყო, სტუდენტები ნაბიჯ-ნაბიჯ

ეცნობოდნენ საერთაშორისო წერის სტანდარტებს. ტექნიკურ გაფორმებას არ უნდა დაეკარგვინებინა სტუდენტისთვის კრედიტები, მითუმეტეს, ბაკალავრიატიდან მოსულს, უნდა ჰქონოდა საბაზო უნარები, სტუდენტებს უწევდათ ნაშრომების გაკეთება, მომზადება, კვლევების წარმოება.

სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ საუბარი იყო მეთოდოლოგიაზე და კვლევის მეთოდებზე. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისწავლებოდა ფინანსური მათემატიკა, მოდელირება, მონაცემთა ანალიზი, თანაც ეს პროგრამა არ წარმოადგენდა ფუნდამენტურ ან სოციალურ მიმართულებას, ეს იყო პრაქტიკასა და პროექტებზე ორიენტირებული სამაგისტრო პროგრამა.

სოფიო ხუნდაძემ განაცხადა, რომ ვიზიტზე ამ საკითხზე უნივერსიტეტის პასუხი იყო, რომ თემის ხელმძღვანელი უხსნიდა ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში და აქ არ იყო საუბარი მხოლოდ ტექნიკურ გაფორმებაზე, ექსპერტები გულისხმობდნენ კვლევის მეთოდოლოგიის სწავლებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა იყო, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებოდა სტუდენტს.

სოფიო ხუნდაძემ დაამატა, რომ სტუდენტებთან საუბრის დროსაც გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი მათგანი, რომელიც სხვა უნივერსიტეტიდან იყო გადმოსული, ამბობდა, რომ სხვა უნივერსიტეტში ჰქონდა ნასწავლი კვლევის მეთოდები და ეხმარებოდა მას შეძენილი ცოდნა. ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ყველას გამოადგებოდა წინარე მიღებული ცოდნა, მაგრამ ეს შემოთავაზება არ ჰქონდა უნივერსიტეტს და სტუდენტი ამის შესახებ ინფორმირებული იყო.

ალექსანდრე რაქვიაშვილმა მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ორ საგანს, განმარტა, რომ უნივერსიტეტის მიდგომა იყო შემდეგნაირი, შეიძლება, დაწყოთ სწავლება მარტივი საკითხებიდან, რადგან სტუდენტს არ ჰქონოდა წინა განათლება შესაბამის სფეროში, მაგრამ შემდეგ სწრაფად გადიოდნენ მასალას და მთავარია, სტუდენტები გადიოდნენ შედეგზე.

სოფიო ხუნდაძემ განაცხადა, რომ ექსპერტების მოსაზრებით, სასურველი იყო არ ჰქონოდა პროგრამას მხოლოდ მარტივი სწავლის შედეგები, უნდა გართულებულიყო, თორემ შედეგების მიუღწევადობაზე ისინი არ საუბრობდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ ბიზნესის სამართლის სილაბუსი შინაარსობრივად იყო ბიზნესის სილაბუსი, არ იყო საკითხები, რაც ფინანსისტს დასჭირდებოდა. ასევე, არ იყო მითითებული ლიტერატურა არც ძირითად და არც დამატებით ველში. სამი კანონის სახელწოდება არასწორად იყო მითითებული, ამათგან ერთი გაუქმებული იყო ამ ეტაპზე და არ არსებობდა. გარდა ამისა, მითითებული იყო 5 კანონის ძველი ვერსიები 2010 წლის მდგომარეობით, მას შემდეგ ბევრი ცვლილება იყო შესული ამ დოკუმენტებში, განსაკუთრებით მეწარმეთა შესახებ კანონში, მისი მოსაზრებით, ახალი სილაბუსი იყო შესადგენი. ასევე, გადასახედი იყო გადასახადების კურსის სილაბუსისთვის. ლინკები იყო მითითებული, ერთი მათგანი უბრალოდ ხსნიდა კორპორაციებს და მეორე ლინკიც არაფრის მომცემი იყო. მითითებული იყო უშუალოდ მუხლები და ზოგჯერ ისიც აცდენილი იყო შინაარსს. გარდა ამისა, გადასახადების სილაბუსში, რომელიც საგადასახო სამართლად იყო მოხსენიებული, სულ დადგენილებები

და კანონები იყო ჩადებული, როდესაც არსებობდა სახელმძღვანელოები და სამაგისტრო პროგრამაზე კარგი იქნებოდა შედარებითი ანალიზის გაკეთება.

სერგო ჭელიძემ დაამატა, რომ პროგრამაში არ ჩანდა ვის მიერ იყო დამტკიცებული პროგრამა და რომელი დადგენილებით, ასევე არ იკითხებოდა რამდენი სემესტრის განმავლობაში გრძელდებოდა სასწავლო პროცესი, რამდენი საათი ეთმობოდა კრედიტს, ვინ იყო ხელმძღვანელი, არ იყო აღწერილი მოდულები, ბუნდოვანი იყო დაშვების წინაპირობა, სადაც საუბარი იყო შიდა ტესტირებისა და სამაგისტრო გამოცდის შესახებ, არ ჩანდა უცხო ენა თუ მოითხოვებოდა, არაფერი იყო ნათქვამი ფინანსურ ნაწილზე, არ ახლდა კომპეტენციების რუკა, სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები, არ ჩანდა სწავლების მეთოდები, დასახვეწი იყო შეფასების სისტემა, არ იკვეთებოდა ინტერნაციონალიზაციის საკითხი, რა ქსელებზე ჰქონდათ სტუდენტებს წვდომა.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტები წარდგენილი იყო და ასეთი პრობლემა არც ექსპერტებს ჰქონიათ მასალებზე მუშაობისას, შესაბამისად, შესაძლოა ამ შემთხვევაში, დოკუმენტაციის სრული ვერსია არ ჰქონდა საბჭოს წევრს.

ვახტანგ ლეჟავამ დაამატა, რომ პროგრამა არ იყო იზოლირებული დოკუმენტი, საიდანაც ყველა ინფორმაციას მიიღებდი, არ იყო აუცილებელი აქ ჩაწერილიყო როგორ ისარგებლებდა სტუდენტი საბიბლიოთეკო რესურსით. არც ეთიკის საკითხები ეწერებოდა პროგრამაში და არც მაგისტრატურის დებულება, მაგრამ ორივე უნდა გაეთვალისწინებინა სტუდენტს. კრედიტების რაოდენობა კი კანონმდებლობით იყო დადგენილი და არ იყო საჭირო პროგრამაში ამის გაწერა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი დიდ დროს უთმობდა იმას, რომ სტუდენტს არჩევანი გააზრებული ჰქონოდა, იმართებოდა გაცნობითი შეხვედრები, ასწრებდნენ ლექციებს. მან დაამატა, რომ სახელმძღვანელოები ჰქოდათ ინგლისურად, მაგრამ მოთხოვნა, რომ დაეწერათ B1 შეიძლებოდა ყოფილიყო შემზღუდავი, რადგან შესაძლოა დაკარგულიყო მოტივირებული სტუდენტი. გასაუბრება ამოწმებდა მოტივაციასაც და ინგლისურის დონესაც, ასევე სტუდენტებს აწვდიდნენ ინფორმაციას დატვირთვისა და სამუშაო მოცულობის შესახებ.

სერგო ჭელიძე დაინტერესდა, როგორ გეგმავდნენ ინტერნაციონალიზაციის განვითარებას უცხო ენის გარეშე. ვახტანგ ლეჟავამ უპასუხა, რომ ეს ამოცანა არ ჰქონდა უნივერსიტეტს აღებული ამ პროგრამის შემთხვევაში. გარდა ამისა, ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენდა ცოდნის ინტერნაციონალიზაციასა და არა ადამიანების ფიზიკური გადაადგილებას. უნივერსიტეტის ხედვა ამ კუთხით დაკმაყოფილებული იყო, რადგან საერთაშორისო ცოდნის გაცვლა ხდებოდა. საქმე ჰქონდათ ზრდასრულ ადამიანებთან, ვინც იხდიდა მნიშვნელოვან თანხას და უნდა ჰქონოდათ უნარი შეეფასებინათ, თუ დაძლევენ პროგრამას. მან მაგალითად მოიყვანა წინა წლის შემთხვევა, როდესაც მსგავს პროგრამაზე, მიუხედავად იმისა, რომ კონკურსი იყო, 50 გამოცხადებული ადგილიდან, შეავსეს მხოლოდ 35, რადგან დანარჩენი კანდიდატები ვერ დაძლევდნენ პროგრამას.
მარინა ქარჩავამ აღნიშნა, რომ გასაუბრების მიზანი იყო, შეეფასებინა სტუდენტის აზროვნება, კონკრეტული ტესტის ჩატარება არ წარმოადგენდა უნივერსიტეტის ამოცანას.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, როგორ ხდებოდა პროფესიული ნაწილის შეფასება პროგრამაზე ჩარიცხვამდე. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს არ იყო რეგულირებადი პროფესია, ამიტომ შესაძლოა მოსულიყვნენ ლიტერატორები მაგალითად,

ვინც ჩააბარებდნენ სამაგისტრო გამოცდებსა და არსებული სისტემის მიხედვით, ითვლებოდნენ კვალიფიციურად. დანარჩენი წარმოადგენდა უნივერსიტეტის დისკრეციას.

საბჭოს წევრმა, ნინო ლიპარტიამ აღნიშნა, რომ ვებგვერდზე იდო ამ სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა და იქ მითითებული იყო მიღების წინაპირობად გასაუბრებასთან ერთად ტესტირებაც.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ხდებოდა გასაუბრება, სადაც კანდიდატს აძლევდნენ დავალებას, ტესტირება არ ტარდებოდა გამოცდის ჩაბარების თვალსაზრისით. ნინო ლიპარტიამ დაამატა, რომ საგნების აღწერილობა ვებგვერდსა და წარმოდგენილ დოკუმენტებში ერთმანეთს არ ემთხვეოდა. მაგალითად ვებგვერდზე საერთოდ არ ჩანდა, თუ ისწავლებოდა ბიზნესსამართალი.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ პროგრამა ახალი იყო და თუ ვებგვერდზე არსებობდა ტექნიკური უზუსტობა, გასწორდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ წარმოადგინა რეკომენდაციები, რომლის შესრულებისთვისაც დაწესებულებას მიეცა 1 წლის ვადა:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული მე-5 და მე-6 რეკომენდაციების შესრულება, კერძოდ:

- 2.3 ქვესტანდარტის, სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვისა და ანალიზის ნაწილში დასახელებული სილაბუსების სწავლის შედეგების სამაგისტრო საფეხურის შესაბამისად ფორმულირება;
- პროგრამას არჩევით კომპონენტად დამატებოდა საწარმოო პრაქტიკა, რათა აღნიშნულ შემთხვევებში პროგრამას უზრუნველეყო სტუდენტები, რომელთაც არ ჰქონდათ პროფესიით მუშაობის გამოცდილება, საჭირო პრაქტიკული უნარებით;
- ასევე, ბიზნესის სამართლისა და გადასახადების სილაბუსების ჩასწორება;

საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ პროგრამაზე 1 წლის განმავლობაში განხორციელებულიყო მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც, გადამოწმდებოდა პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 20:20 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:
ქეთევან ქოქრაშვილი

გიორგი ამილახვარი

მდივანი:
ნინო ლიპარტია

ლევან გორდეზიანი